472/1939/2

უფასო

ხსსრ განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებათა და განკარგულებათა

# კრებული

№ 11 ნოემბერი 1939 წ.

3535

შინაარსი

1. საქ. სსრ სახ. კომისართა საბჭოს დადგენილება სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭების შესახებ . . . . 2
2. ბრძანება № 5766—სახალხო განათლების კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტთან არსებულ პედაგოგიური გამოფენის შესახებ . . . . . . . . . . . . . 7
3. ბრძანება № 6(07 - საქ. სსრ ქალაქების სკოლების მოსწავლეთა მიერ ქუჩაში მოძრაობის მოწესრიგების შესახებ . . . . . . . 9
4. დებულება – საქ. სსრ განსახკომის ბავშვთა სარაიონო ტექნიკური სადგურისა . . 12
5. სტალინური კონსტიტუციის 3 წლისთავის დღესასწაულის ჩატარებისა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების სამზადისში მონაწილეობის მიღების შესახებ (ცირკულარულად) . . . . . . . . . . . . . . . 14

განსახკომი
თბილისი—1939

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭების შესახებ

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:**

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოს სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება შემდეგ ამხანაგებს:

1. აქვსენტი შამილის-ძე **ალანიას** ხობის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.

2. თამარ სტეფანეს-ასულ **ალადაშვილს** — წითელწყაროს რაიონის სოფ. არბოშიკის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს .

3. ილია ივანეს-ძე **ალიხანოვს** — გორის რუსული საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს.

4. ნიკოლოზ აქვსენტის-ძე **ანჯაფარიძეს** — ხაშურის რაიონის სოფ. გომის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.

5. მართა პავლეს-ასულ **ბაქრაძეს** — თელავის რაიონის სოფ. ვარდისუბნის არასრული საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

6. გრიგოლ თომას-ძე **ბახტაძეს** — წულუკიძის რაიონის სოფ. წითელი ვარსკვლავის დაწყებითი სკოლის გამგეს.

7. მარიამ ვასილის-ასულ **ბახუტაშვილს** — თელავის რაიონის სოფ. ზემოალვანის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

8. ნადია პავლეს-ასულ **ბებურიას** — ხობის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.

9. ნინო იოსების-ასულ **ბოცვაძეს** — თბილისის მე-34 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

10. გიორგი ნიკოლოზის-ძე **ბურჭულაძეს** —თბილისის მე-5 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

11. სავლე თედორეს-ძე **ბრეგაძეს** — თბილისის მე-34 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

12. სეფე ბესარიონის-ძე **ბურჭულაძეს** — კასპის რაიონის სოფ. ქეჩარუხის არასრული საშუალო სკოლის დირექტორს.

13. ელენე ასლანის-ასულ **ბუტულაშვილს** — თბილისის მე-43 საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

14. ივანე ალექსანდრეს-ძე **ბუქურაულს** —თბილისის მე-43 საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტ. მასწავლებელს.

15. პორფირე გოგის-ძე **გაბიანს** — ქვემოსვანეთის რაიონის სოფ. ჩიხარეშის არასრული საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

16. ივლიანე გვადის-ძე **გაბუნიას** — გეგეჭკორის რაიონის სოფ. ბანძის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.

17. გრიგოლ ივანეს-ძე **გეგენავას** — ცხაკაიას პედსასწავლებლის რუსული ენის მასწავლებელს.

18. ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე **გვახარიას** — თბილისის ქართული პედსასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

19. გიორგი ლევანის-ძე **გლურჯიძეს** — გორის რაიონის სოფ. ბერშუეთის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელს.

20. გიორგი ლეონტის-ძე **გოგოძეს** — ვანის რაიონის სოფ. მიქელეფონ-კუშუბოურის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.

21. სიმონ ივანეს-ძე **გრძელიშვილს** — თბილისის მე-35 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

22. სოლომონ თედორეს-ძე **გულისაშვილს** — საგარეჯოს საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს.

23. ერემია დიმიტრის-ძე **გულისაშვილს** — საგარეჯოს მოზრდილთა საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.

24. ნესტორ უტუს-ძე **გულუას** — წალენჯიხის, ბერიას სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის არასრული საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

25. ევგენია კონსტანტინეს-ასულ **ეგაძე-ყიფშიძისას** — თბილისის მე-25 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

26. იულია ზოტიკეს-ასულ **ვერულაშვილს** — თბილისის მე-9 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

27. თამარ გიორგის-ასულ **ზაალიშვილი-გიორგობიანისას** — თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.

28. ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **ზახაშვილს** — ყვარლის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.

29. ანასტასია ალექსანდრეს-ასულ **ზახაშვილს** — ყვარლის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

30. ანეტა ბესარიონის-ასულ **თვალთვაძეს** — წალენჯიხის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.

31 ნინო ნიკოლოზის-ასულ **თევდორაძეს** — ხობის რაიონის სოფ. ნოჯიხევის არასრული საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.

32. სოფიო კორნელის-ასულ **იმერლიშვილს** — ყვარლის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.

33. ტერეზა ალექსის-ასულ **იმნაიშვილს** — ხაშურის რაიონის სოფ. ტაშისკარის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებელს.

34. ეპიფანე მაქსიმეს-ძე **იმნაძეს** — ხაშურის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.

35. მიხეილ მარკოზის-ძე **იმნაძეს** — ლანჩხუთის რაიონის სოფ. გვიმრალაურის არასრული საშუალო სკოლის დირექტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

36. ილია ალექსანდრეს-ძე **კაპანაძეს** — გორის პედსასწავლებლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

37. ოლღა ვასილის-ასულ **კაპანაძეს** — სოხუმის პედსასწავლებლის რუსული ენის მასწავლებელს.

38. პეტრე სოლომონის-ძე **კაპანაძეს** — ხაშურის რკინიგზის სკოლის მასწავლებელს.

39. ნინო დიმიტრის-ასულ **კასრაძეს** — თბილისის მე-35 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

40. სერგო ალექსანდრეს-ძე **კაჭარავას** — აბაშის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს.

41. ელენე გიორგის-ასულ **კეჭეყმაძეს** — მახარაძის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

42. აგნესა სოლომონის-ასულ **კილასონიას** — ჩოხატაურის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

43. ევგენია იასონის-ასულ **კოპალიანს** — ქვემო-სვანეთის რაიონის ლენტეხის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

44. ნინო დიმიტრის-ასულ **კორინთელს** — გორის რაიონის სოფ. ტყვიავის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

45. მაქსიმე ნიკოლოზის-ძე **კუბლაშვილს** — ტყიბულის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.

46. მიხეილ პეტრეს-ძე **ლაბარტყავას** — თბილისის მე-44 საშუალო სკოლის დირექტორს.

47. ვალენტინა ივანეს-ასულ **ლოგინოვას** — თბილისის მე-57 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

48. არჩილ კირილეს-ძე **მათიკაშვილს** — ყვარლის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს.

49. ვასილ დავითის-ძე **მამულოვს** — ქ. თბილისის კიროვის რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორს.

50. თერაპონტე არჩილის-ძე **მანჯავიძეს** —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონის პედსასწავლებლის მათემატიკის მასწავლებელს.

51. ანტონ მიხეილის-ძე **მეტრეველს** — ყვარლის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

52. სალომე ნიკოს-ასულ **მეტრეველს** — ყვარლის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

53. მიხეილ კონსტანტინეს-ძე **მიროვიჩს** — თბილისის მე-106 საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

54. გრიგოლ ვასილის-ძე **მიხაილოვს** — თბილისის მე-26 საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელს.

55. ელისაბედ გიორგის-ასულ **მშველიძეს** — ხაშურის რაიონის სურამის არასრული საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.

56. ალექსანდრე მიხეილის-ძე **მიხაილოვს** — თბილისის მე-45 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

57. ფილიმონ ესტატეს-ძე **ნადარეიშვილს** — ფოთის მეორე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

58. ვარლამ ვლადიმერის-ძე **ნაფეტვარიძეს** — ვანის რაიონის სოფ. შუამთის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.

59. ვლადიმერ ქრისტეფორეს-ძე **ნაცვლიშვილს (ბზვანელს)** — ქუთაისის მე-25 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

60. ალექსანდრა იოსების-ასულ **ნებიერიძეს** — თბილისის მე-14 საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.

61. სტეფანე კონსტანტინეს-ძე **ნიკოლეიშვილს** — თბილისის მე-53 საშუალო სკოლის დირექტორს.

62. ნიკოლოზ დიმიტრის-ძე **ნუცუბიძეს** — ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

63. დომენტი თომას-ძე **ოყრეშიძეს (თომაშვილს)** — ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

64. დავით დავითის-ძე **პარკაძეს** — თბილისის ილია ჭავჭავაძის სახ. საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

65. ივანე გაბრიელის-ძე **პეტროვს** — თბილისის მე-46 საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს

66. ანასტასია დიონისის-ასულ **ჟვანიას** — ფოთის რუსული საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

67. თამარ ელისეს-ასულ **რობიტაშვილს** — წითელწყაროს რაიონის სოფ. ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

68. გიორგი ნიკოს-ძე **სალარიძეს** — თბილისის მე-45 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

69. პეტრე არშაკის-ძე **ტიგრანიანს** — თბილისის მე-38 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

70. ვლადიმერ ზაალის-ძე **რობიტაშვილს** — გურჯაანის რაიონის სოფ. ახალშენის არასრული საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.

71. ივანე ბესარიონის-ძე **ურუშაძეს** — თბილისის მე-15 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

72. მიხეილ ივანეს-ძე **ფანჯავიძეს** — ხაშურის მე-2 საშ. სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

73. აქვსენტი მანუჩარის-ძე **ფარულავას** — გეგეჭკორის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

74. ნიკოლოზ დავითის-ძე **ფხალაძეს** — გურჯაანის რაიონის სოფ. ყანდაურის არასრული საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

75. თეოფილე გიორგის-ძე **ქუთათელაძეს** — ბაღდათის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

76. ლიუცია ილიას-ასულ **ქუთათელაძეს** — თბილისის მე-8 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

77. სოლომონ პავლეს-ძე **ქუთათელაძეს** თბილისის მოზრდილთა მე-7 საშუალო სკოლის დირექტორს.

78. ვერა მიხეილის-ასულ **შათირიშვილს** — ხაშურის მე-2 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

79. თედორე (ასლან) ანტონის-ძე **შანავას** — წალენჯიხის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

80. პავლე ბესარიონის-ძე **შანავას** — წალენჯიხის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

81. ოლღა იოსების-ასულ **შარაბიძეს** — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყ. ინსპექტორს.

82. რუსტამ პაშას-ძე **შარიფოვს** — ბორჩალოს რაიონის კიზილ აჯლინის არასრული საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.

83. ნიკოლოზ ივლიანეს-ძე **შაფაქიძეს** — თბილისის მე-8 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

84. თამარ ივანეს-ასულ **შიუკაშვილს** — თელავის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

85. გალაქტიონ ექვთიმეს-ძე **ჩაჩხიანს** — საგარეჯოს რაიონის სოფ. პატარძეულის საშუალო სკოლის სასწ. ნაწილის გამგეს.

86. მალაქია ალექსის-ძე **ჩიგოგიძეს** — ჩოხატაურის არასრული საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

87. ლონგინოზ ანტონის-ძე **ჩიმაკაძეს** — თბილისის მე-26 საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

88. მიხეილ ომაინის-ძე **ჩინჩალაძეს** — ქუთაისის მოზრდილთა მეექვსე საშუალო სკოლის ფრანგული ენის მასწავლებელს.

89. იოსებ სამუელის-ძე **ჩხარტიშვილს** — მახარაძის რაიონის სოფ. ვაკისჯვრის არასრული საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

90. დავით ანდუყაფარის-ძე **ჩხეიძეს** — ქვემო სვანეთის რაიონის ლენტეხის საშუალო სკოლის დირექტორს.

91. ეკატერინე კონსტანტინეს-ასულ **ჩხეიძეს** — ფოთის მე-2 საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

92. ალექსი მათეს-ძე **ცანავას** — ცხაკაიას რაიონის სოფ. მენჯის არასრული საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

93. სერგო პავლეს-ძე **ცივილინს** — თბილისის მე-26 საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

94. ერმილე ნიკოლოზის-ძე **ცომაიას** — ფოთის რაიონის სოფ. მალთაყვის დაწყებითი სკოლის მასწავლებელს.

95. იასონ სოლომონის-ძე **ცომაიას** —თბილისის სტალინის რაიონის განათლების განყ. ინსპექტორს.

96. ლიუსია ქრისტეფორეს-ასულ **ცურინოვას** — თბილისის მე-7 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელს.

97. პლატონ გიორგის-ძე **წულუკიძეს** — ქუთაისის მე-25 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

98. ელენე ანტონის-ასულ **ჭანტურიას** — თბილისის მე-7 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

99. სოლომონ პავლეს-ძე **ჭანტურიას** — წალენჯიხის რაიონის სოფ. ლიის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.

100. ოლღა მიხეილის-ასულ **ჭეიშვილს** — თბილისის მე-25 საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს.

101. ნიკოლოზ ივანეს-ძე **ჭეიშვილს** — თბილისის მე-42 საშუალო სკოლის ყოფ. დირექტორს.

102. ნესტორ გუჯუს-ძე **ჭითავას** — ცხაკაიას რაიონის სოფ. ზანის საშუალო სკოლის დირექტორს.

103. თამარ მიხეილის-ასულ **ჭიჭინაძეს** — გორის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.

104. ტროფიმე გიორგის-ძე **ხაზალიას** — ხობის რაიონის სოფ. ხეთის არასრული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს

105. თეოფანე ვასილის-ძე **ხარატიშვილს** — აბაშის რაიონის სოფ. მარნის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.

106. ნადია დავითის-ასულ **ხატიაშვილს** — გურჯაანის რაიონის სოფ. არაშენდის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

107. ალექსანდრა ივანეს-ასულ **ხასიშვილს** — გორის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

108. ქეთევან დიმიტრის-ასულ **ხერხეულიძეს** — თბილისის მე-14 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

109. ლაზარე ვასილის-ძე **ხმალაძეს** — ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

110. ქეთევან იოსების-ასულ **ხომერიკი-თოხაძისას** — თბილისის მე-34 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელს.

111. სამუელ ლავრენტის-ძე **ხონელიძეს** — აბაშის რაიონის სოფ. მაიდნის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

112. ელისაბედ დავის-ასულ **ხოსიტაშვილს** — გურჯაანის რაიონის სოფ. კარდანახის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.

113. ანა ნესტორის-ასულ **ჯაფარიძეს** — ხაშურის მე-16 რკინიგზის საშუალო სკოლის ბუნებისმეტყველების მასწავლებელს.

114. სოფიო ალექსანდრეს-ასულ **ჯეირანაშვილს** — ყვარლის რაიონის სოფ. ოქტომბრის დაწყებითი სკოლის მასწავლებელს.

115. კონსტანტინე ივანეს-ძე **ჯორჯიკიას** — თბილისის მე-23 საშუალო სკოლის დირექტორს.

**საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს**
**თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე**

**საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს**
**საქმეთა მმართველი ი. რუხაძე**

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 5766

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი.

1939 წლის 4 ოქტომბრს

### სახალხო განათლების კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტთან არსებულ პედაგოგიური გამოფენის შესახებ.

ვანიჭებ რა დიდ მნიშვნელობას სკოლების და მასწავლებლების მუშაობის საუკეთესო ნიმუშების განზოგადოებას რესპუბლიკის სკოლებში სასწავლო სააღმზრდელო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში, სახ. განათლების კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის მიერ მოწყობილ სასკოლო გამოფენას ვთვლი მნიშვნელოვან ნაბიჯად.

კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტთან მოწყობილ პედაგოგიურ გამოფენაზე წარმოდგენილია რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, ფოთი, მახარაძე, ლანჩხუთი, სიღნაღი, სამტრედია, დუშეთი და სხვ.) სკოლების ოსტატ პედაგოგთა საუკეთესო ნამუშევრები სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა დარგიდან.

გამოფენა მოწყობილია ცალკე კლასებისა და სასწავლო დისციპლინების მიხედვით და საკმაოდ მდიდარია ექსპონატებით. გამოფენაზე წარმოდგენილი მასალების შედეგად მასწავლებელს შეუძლია მიიღოს პედაგოგიურ-მეთოდური დახმარება ცალკე სასწავლო დისციპლინის სწავლებისა და აღზრდელობითი მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისათვის.

ამ მხრივ გამოირჩევიან:

**I. თბილისი**

1. მე-26 საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებლის ნამუშევრები.
2. მე-33 სკოლის სასწ. ნაწილის გამგის (ამხ. კარტოზია) მიერ წარმოდგენილი სასწ. ნაწილის გამგის მუშაობის ამსახველი მასალები.
3. მე-82 საშუალო სკოლ. ალბომები.
4. რკინიგზის I სკოლის ალბომი ბუნებისმეტყველებაში.
5. მე-23 საშუალო სკოლის ბუნებისმეტყველების მასწავლებლის (მეტრეველი) მწერების კლასიფიკაცია და შინაგანი აღნაგობა.
6. მე-18 საშ. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამის მეთოდური დამუშავება (მასწავლ. ვარდიაშვილი).

**II. აჭარა — ბათუმი.**

1. მე-2 სკოლა— საუკეთესო ნამუშევრები გეოგრაფიაში, ბიოლოგიაში (მასწავლებ. ტეროგანოვა).
2. პედ. სასწ. — გეოგრაფიული რუკები, აჭარის სკოლის ქსელის რუკა (მასწავლებელი — ჯიბუტი).
3. ჟურნალები, ალბომები და პედ. საბჭოს ოქმები პირველი და მე-8 სკოლა.

**III. მახარაძის რაიონიდან**

1. მე-2 საშ. სკოლა—საუკეთესო ილუსტრაციები „ვეფხის ტყაოსნიდან“ ლიტ. ჟურნალები და სხვა (მასწავლ.—სალუქვაძე და იობიშვილი).

**IV. ლანჩხუთის რაიონიდან**

1. ნიგვზიანის ა/საშუალო სკოლის სასწავლო სააღმზრდელო გეგმები, სტენოგრამები, კონსპექტები (მასწავლ. — ჯიჯეიშვილი).
2. ლანჩხუთის საშ. სკოლიდან—ალბომები.

3. სუფსის საშ. სკ.—ნამუშევრები რუსული ენიდან.

### V. სიღნაღის რაიონიდან

პედსასწავლებლისა და საშ. სკოლიდან — ლიტერატ. ჟურნალები, კედლის გაზეთები.

### VI. აფხაზეთი

სოხუმი—ალბომები, გერბარიუმები, რუკები და სხვა.

### VII. ქუთაისი.

1. მე-13 სკ. ალბომები მიძღვნილი მე-XVIII პარტ. ყრილობისადმი, რომელშიაც ასახულია სკოლის მთლიანი ცხოვრება, რვეულები—ქართულში, მათემატიკაში.

2 მე-24 საშუალო სკოლა — ისტორიული და გეოგრაფ. რუკები.

3. პირველი სკოლა—ალბომები გეოგრაფიაში და სხვა.

### VIII. ქ. ფოთი.

1. I საშ. სკოლა—ნავსადგურისა და მექანიზებული ტრანსპორტის მოდელები (მასწ. ბარამიძე).

### IX. სამტრედიის რაიონი

1. პედ. სასწ.—ალბომები, ნახატები, ნამუშევრები ქართულ ენაში (მასწავლებელი — ჭეიშვილი).

2. ეწერის ა/საშ. სკ. — ბიულეტენები მათემატიკაში.

### X. ორჯონიკიძის რაიონი

1. ლეღვანის საშ. სკოლა—მოწაფეთა ინდივიდუალური დახასიათება (მასწავლებელი —რევიშვილი).

XI. თბილისის ცენტრალ. მეთოდ კაბინეტი, რომელმაც წარმოადგინა ცალკე საგნების მიხედვით მეთოდ დამუშავებანი.

XII. თბილისის 26 კომისრის სახელ. რაიონის განათლების განყოფილებასთან არსებული პედ. კაბინეტი, რომელმაც დ/სკ. ხაზით წარმოადგინა მდიდარი მასალა.

XIII. ლანჩხუთის. პედ. კაბინეტი—ზოგიერთი კარგი ნიმუშები პედ. კაბინეტის მუშაობისა.

XIV. ბათუმის პედ. კაბინეტი—მაკეტები და მოდელები.

XV. ქუთაისის გან. განყოფილ. ინსპექციის მუშაობის ანგარიშები—ინსპექტორი შუბლაძე.

ამასთან ერთად აღვნიშნავ, რომ ზოგიერთმა რაიონმა (ორჯონიკიძისა—ქ. თბილისში, თელავის, ზუგდიდის, ცხაკაიას, ჭიათურის, ზესტაფონის და სხვა) არასერიოზული დამოკიდებულება გამოიჩინა რესპუბლიკური სასკოლო გამოფენის საქმისადმი და შესაფერი მასალები არ გამოგზავნა.

მომავალში გამოფენის საშუალებით მასწავლებლების მიღწევებისა და გამოცდილების გაზიარების საქმის საუკეთესოდ მოწყობის მიზნით, ვბრძანებ:

1. სახალხო განათლების კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტმა არსებული გამოფენის გამოცდილებათა გათვალისწინების საფუძველზე დღეიდანვე გაშალოს მუშაობა იმგვარად, რომ მომავალში მოწყობილ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნეს რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის სკოლების მუშაობის საუკეთესო ნიმუშები.

2. ინსტიტუტმა ამთავითვე დასახოს საჭირო ღონისძიებანი, რათა მომავალში სასკოლო გამოფენა რაც შეიძლება მასწავლებელთა დიდმა ნაწილმა ნახოს და შეისწავლოს.

3. ინსტიტუტმა ამ თავითვე დაამყაროს ცოცხალი კავშირი რაიონის და ქალაქის გან. განყოფილებებთან და პედ. კაბინეტებთან და მისცეს მათ შესაფერი ინსტრუქცია ადგილებზე სკოლის გამოფენის მოწყობის შინაარსისა და ორგანიზაციის შესახებ.

4. რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილების გამგეებმა და სკოლების დირექტორებმა სასწავლო წლის დასაწყისიდან გაშალონ მუშაობა იმ მიმართულებით, რომ სისტემატურად გამოავლინონ სასკოლო მუშაობის დარგში საუკეთესო მიღწევები და მოაწყონ მათი გამოფენა.

5. დაისვას საკითხი სახკომსაბჭოს წინაშე, რათა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტ-

თან მუდმივი პედაგოგიური გამოფენისათვის აიგოს სპეციალური შენობა. ამ მიზნით განსახკომის საგეგმო-საფინანსო სამმართველომ ინსტიტუტის დირექციასთან ერთად წარმოადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა 15 ოქტომბრამდე.

6. სასწავლო სააღმზრდელო მუშაობის კარგად დაყენებისა და გამოფენაზე სკოლის მუშაობის საუკეთესო ნიმუშების წარმოდგენისათვის ინსტიტუტმა შეარჩიოს გამოფენის უკეთესი მონაწილენი და სია წარმოადგინოს ა/წ 15 ოქტომბრამდე მათი დაჯილდოვების მიზნით.

**საქ. სსრ განათლების სახ.**

**კომისარი გ. კიკნაძე**

---

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 6007

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი.

**1939 წლის 16 ოქტომბერს.**

### საქ. სსრ ქალაქების სკოლების მოსწავლეთა მიერ ქუჩაში მოძრაობის მოწესრიგების შესახებ.

გავეცანი რა დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოების მიერ წარმოდგენილ მასალებს—საქ. სსრ ქალაქების სკოლების მოსწავლეთა მიერ ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევის შესახებ, აღვნიშნავ, რომ თბილისის, ბათომის და სხვა ქალაქების სკოლებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ქუჩაში სწორად მოძრაობის წესების გაცნობისა და მოსწავლეთა შორის ქუჩაში მოძრაობის ჩვევების გამომუშავების საქმე. ამის შედეგად უბედური შემთხვევები მოსწავლეთა შორის თანდათანობით ხშირდება და საშიშ ხასიათს ღებულობს.

ვანიჭებ რა მოსწავლეთა შორის ქუჩაში მოძრაობის წესების დაცვის ჩვევების დანერგვას უდიდეს სახელმწიფოებრივ და სააღმზრდელო მნიშვნელობას, ვბრძანებ გატარებულ იქნას შემდეგი ღონისძიებანი:

1. ქალაქების—თბილისის, ბათომის, ქუთაისის, სოხუმის, გორის, ფოთის სტალინირის, ახალქალაქის, ახალციხის, მახარაძის, თელავის, ბორჯომის, გაგრის, სამტრედიის, გუდაუთის, ჭიათურის, ოჩამჩირის, ხაშურის წულუკიძის, ზესტაფონის, ცხაკაიას და ზუგდიდის ყველა დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლებში ა/წ 1 ნოემბრიდან შემოღებულ იქნეს ქუჩაში მოძრაობის წესების შესწავლა, 1, 2, 3, 4 კლ. ხუთმეტ-ხუთმეტი წუთისა, ხოლო მე-5, 6, 7 კლ. ოცოცი წუთის ხანგრძლივობით ექვსდღიურში. მეცადინეობა მოეწყობა ერთერთ ნაკლებად დატვირთულ სასწავლო დღის ბოლოს. ქუჩაში მოძრაობის წესების სწავლება, როგორც წესი დაევალოს კლასის ხელმძღვანელებს და შევიდეს მათს პირდაპირ მოვალეობაში.

2. საქ. სს რესპუბლიკის ყველა სკოლაში, ბრძანების პირველ მუხლში ჩამოთვლილ ქალაქების გამოკლებით, მოსწავლეთათვის ქალაქის ქუჩებში მოძრაობის წესების გაცნობა სწარმოებდეს პერიოდულად, კლასგარეშე მუშაობის წესით.

3. დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოებმა საქ. სს რესპუბლიკის მილიციის სამმართველოსთან შეთანხმებით ერთი დეკადის ვადაში დააზუსტონ ქუჩაში მოძრაობის წესების პროგრამები დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის თითოეული კლასისათვის და დაუგზავნონ ადგილებს არა უგვიანეს ა/წ 1 ნოემბრისათვის.

4. ქუჩაში მოძრაობის წესების სწავლების

სწორად ორგანიზების მიზნით დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოებმა დაამუშაონ სათანადო მეთოდური წერილი და დაიყვანონ სკოლებამდე იგი ა/წ 10 ნოემბრამდე.

5. დაევალოს კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტს, ამ ბრძანების პირველ პუნქტში ჩამოთვლილ ქალაქების და რაიონების განათლების განყოფილებებთან ერთად, მოაწყოს ქუჩაში მოძრაობის წესების შესასწავლად, წარმოებიდან მოუწყვეტლივ, აღნიშნულ ქალაქების სკოლის დირექტორების (გამგეების), სასწავლო ნაწილის გამგეების, კლასის ხელმძღვანელებისა და პიონერ ხელმძღვანელებისათვის 10 დღიანი კურსები. კურსების მუშაობა ყველა ქალაქში დამთავრდეს ა/წ 15 დეკემბრამდე.

ბრძანების ამ მუხლის შესრულების ხელმძღვანელობა დაეკისროს ჩემს მოადგილეს ამხ. **ბ. კიზირიას.**

6. დაწყებითი და საშუალო სკოლის კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტმა რესპუბლიკის მილიციის სამმართველოსთან შეთანხმებით შეადგინოს შემდეგი წიგნები და ბროშურები:

ა) მასწავლებელთათვის დამხმარე წიგნი— ქუჩაში მოძრაობის წესების შესახებ;

ბ) მშობელთათვის ბროშურა — ქუჩაში მოძრაობის წესების შესახებ.

გ) მოსწავლეთათვის ბროშურების სერია —ქუჩაში მოძრაობის წესების შესახებ.

მასწავლებელთათვის ქუჩაში მოძრაობის შესახებ წესების დამხმარე წიგნის შედგენა და გამოცემა უზრუნველყოფილი იქნას ა/წ 25 დეკემბრამდე, დანარჩენი ბროშურებისა —კი 1940 წლის განმავლობაში.

7. სკოლის ინსტიტუტმა, რესპუბლიკის მილიციის სამმართველოსთან ერთად ა/წ 25 ნოემბრამდე შეიმუშაოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად ქუჩაში მოძრაობის წესების შესწავლისათვის საჭირო დიდაქტიკური მასალების პლაკატების, სურათებისა და ლოზუნგების ნიმუშები.

8. 1939-40 სასწავლო წელში გამოსაცემ სახელმძღვანელოებში გათვალისწინებული იქნეს ისეთი სასწავლო მასალების შეტანა, რომელთა შესწავლა შეუწყობს ხელს ბავშვების მიერ ქუჩაში მოძრაობის წესების დაცვას (ამოცანები ავტოტრანსპორტის სისწრაფის შესახებ, სხვადასხვა სურათები და ა.შ.).

9. დაევალოს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას, 1940 წლის საგამომცემლო გეგმით გაითვალისწინოს ზევით აღნიშნული წიგნების, ბროშურების და დიდაქტიკური მასალების გამოცემა.

10. სსრკ-ს სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 3 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე დაწესდეს მოსწავლეთა ერთიანი ტიპის ბილეთი.

დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოებმა ა/წ 1 ნოემბრამდე უზრუნველჰყონ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, სტალინირის, გორის და ფოთის ყველა სკოლა, მოსწავლეთა ბილეთების საჭირო რაოდენობით, ხოლო რესპუბლიკის დანარჩენი სკოლები უზრუნველყოფილი იქნენ ბილეთებით 1940 წლის 1 თებერვლამდე.

11. დაისვას საკითხი საქ. სსრ სახკინმრეწვის წინაშე ბავშვთა უმეთვალყურეობისა და ტრავმატიზმის შესახებ მხატვრული მცირემეტრაჟიანი კინოფილმის გამოშვების შესახებ.

12. დაისვას საკითხი საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა კომიტეტის წინაშე, რათა დაწესდეს კონტროლი და მიეცეს პასუხისგებაში სანახაობათა დაწესებულებების ის ხელმძღვანელები, რომლებიც არღვევენ სანახაობაზე ბავშვთა დასწრების წესს.

13. დაწყებითი და საშუალო სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) ეს ბრძანება ფართოდ დაამუშაონ პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე და ამასთან ერთად უზრუნველყონ:

ა) ტრავმატიზმთან ბრძოლის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პოპულარიზაცია მოსწავლეებში და მოსახლეობაში, მათთან მოხსენებების, ლექციების, საუბრების და სხვ. სისტემატური ჩატარებით.

ბ) სისტემატური კონტროლისა და ხელმ-

ძღვანელობის დაწესება—ქუჩაში მოძრაობის წესების შესწავლისათვის შემოღებულ დამატებითი საათის ჩატარების შესახებ;

გ) თითოეულ მოსწავლისადმი ინდივიდუალური—დიფერენცირებული მიდგომა, წესრიგის თითოეული დარღვევის მიზეზების გულდასმით გამოკვლევა, გულისხმიერების გამოჩენა თითოეული მასწავლებლისა და კლასის ხელმძღვანელების მხრით იმ მოსწავლეთადმი, რომლებიც ადვილად არ ემორჩილებიან საერთო-სააღმზრდელო ღონისძიებებს.

დ) სოციალისტური შეჯიბრებათა გაშლა მოსწავლეებში, კლასსა და კლასშორის, სკოლასა და სკოლას შორის და მშობლებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ხაზით და შედეგების სისტემატური შემოწმება.

ე) თვით სკოლის შენობაში, ეზოში და გაკვეთილების დაწყება-დამთავრებისას მოსწავლეთა უწესრიგობის წინააღმდეგ მტკიცე მორიგეობის შემოღება, სისტემატური კონტროლის და ზეგავლენის ზომების წარმოება.

14. თბილისის განათლების განყოფილებამ დაამუშაოს და ერთი დეკადის ვადაში წარმომიდგინოს განსახილველად მოსაზრებანი სანახაობათა (კინო, კლუბი, თეატრი) და დასვენების (პარკები, ბაღები) ადგილებში მშობლებისა და მასწავლებლების მორიგეობის დაწესების შესახებ.

15. დაევალოს ამ ბრძანების 1 მუხლში ჩამოთვლილ ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს:

ა) 25-30 ოქტომბრამდე ჩაატარონ ქალაქის სკოლის დირექტორებისა (გამგეებისა), სასწავლო ნაწილის გამგეების და მასწავლებელთა აქტივის (პირველ რიგში კლასის ხელმძღვანელების) შეკრებები, სადაც დამუშავდეს საკითხი ბავშვთა ტრავმატიზმთან ბრძოლის ამოცანებისა და სკოლის კონკრეტულ ღონისძიებათა შესახებ ამ საქმეში.

ბ) სისტემატურად უხელმძღვანელონ სკოლებს და დააწესონ ზუსტი კონტროლი ამ ბრძანებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულებაზე.

16. მოსწავლეთა მიერ, როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ წესრიგის დარღვევის შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლისა და ქუჩაში სწორად მოძრაობის ღონისძიებათა გაცნობა-შესწავლისათვის განსახკომმა და ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ ა/წ 15 ნოემბრამდე მოსკოვსა და ლენინგრადში ორ-ორი კვირით მიავლინონ თითო მუშაკი.

**საქ. სსრ განათლების სახ.**
**კომისარი გ. კიკნაძე**

ვამტკიცებ. საქ. სსრ განათლების სახ. კომისრის მოადგილე მარ. ბურ[illegible]
1939 წ. 14/XI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დებულება

## საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ბავშვთა სარაიონო ტექნიკური სადგურისა

### I. ზოგადი დებულებანი

1. ბავშვთა სარაიონო ტექნიკური სადგური წარმოადგენს საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სკოლის გარეშე დაწესებულებას, რომელიც აწარმოებს მუშაობას ბავშვთა შორის ტექნიკის ათვისება-დაუფლების მიმართულებით.

2. სარაიონო სადგური წარმოადგენს ტექნიკის ათვისება-დაუფლების ხაზით სკოლის გარეშე მუშაობის მეთოდურ ცენტრს რაიონში.

3. სარაიონო სადგური თავის ლაბორატორიებში და კაბინეტებში ატარებს მუშაობას უშუალოდ ბავშვებთან, აგრეთვე სწავლობს და განაზოგადებს სასკოლო წრეების მუშაობის გამოცდილებას.

4. სარაიონო სადგურის ამოცანებია:

ა) ჩაუნერგოს ბავშვებს ტექნიკის ათვისება-დაუფლებისათვის სათანადო ჩვევები წრეში პრაქტიკული მუშაობის წარმოების საშუალებით.

ბ) ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ბავშვთა შემოქმედებითი ნიჭის, გამომგონებლობისა და საკონსულტაციო მუშაობის გაშლას.

5. სარაიონო სადგური თავის ამოცანების განსახორციელებლად შემდეგ სამუშაოს ატარებს:

ა) თავის ლაბორატორიებში და კაბინეტებში აყალიბებს წრეებს, რომელსაც აკომპლექტებს საშუალო სკოლის მოსწავლეებისაგან;

ბ) ატარებს მასობრივ ღონისძიებებს (ლექციები, შეკრება, ექსკურსიები, შეჯიბრება, გამოფენა, კონკურსები და სხვ.);

გ) აწარმოებს კონსულტაციას ნორჩ ტექნიკოსების, ნორჩ გამომგონებლების, ნორჩ კონსტრუქტორთა და წრეების ხელმძღვანელთათვის;

დ) აწვდის სასკოლო წრეებს ნახაზებს და მოდელების აღწერილობას და მეთოდურ მასალებს;

ე) აძლევს ინსტრუქციებს სკოლაში ჩამოყალიბებულ წრეებს — მუშაობის ორგანიზაციის, შინაარსისა და მეთოდიკის საკითხებზე;

ვ) ამაღლებს წრეების ხელმძღვანელთა კვალიფიკაციას ლექციებისა და სემინარების ჩატარებით;

6. სარაიონო სადგური თავის მუშაობას ატარებს კონტაქტში თავდაცვა ავიაქიმის საბჭოსთან, პროფკავშირებთან და სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ბავშვთა შორის მუშაობით ტექნიკის ათვისება და დაუფლების დარგში.

### II. ბავშვთა სარაიონო სადგურის სტრუქტურა.

7. ნორჩ. ტექნიკოსებთან უშუალო მუშაობისათვის სარაიონო სადგურს აქვს:

ა) ავიო-სამოდელო ლაბორატორია;

ბ) რადიო-ტექნიკური ლაბორატორია;

გ) ფოტო-ლაბორატორია;

დ) სახელოსნო—ლითონისა და ხის დასამუშავებლად.

გ) ბავშვთა სარაიონო სადგურის ლაბორატორიასთან ყალიბდება სხვადასხვა ტიპის წრეები (დამწყებთა მაღალი ტიპის, თემატური და თავისუფალი თემების), რომელნიც თავის მუშაობას ატარებენ სათანადო პროგრამების მიხედვით.

9. ბავშვთა სარაიონო ტექნიკური სადგუ-

რი მასობრივი მუშაობისა და კონსულტაციის ჩასატარებლად ანხორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

ა) აწყობს ტექნიკურ ბიბლიოთეკას და მოდელების კარტოტეკას;

ბ) უწევს ხელმძღვანელობას ლაბორატორიების და წრეების მუშაობას სპეციალური განათლების მქონე პირების მეშვეობით.

10. მასობრივი მუშაობისა და კონსულტაციის ჩასატარებლად სადგურს ყავს ინსტრუქტორი.

## III ბავშვთა სარაიონო სადგურის მუშაობის ხელმძღვანელობა და მისი მმართველი ორგანო

11. სარაიონო სადგურის მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობას ანხორციელებს რაიონის განათლების განყოფილება და კომკავშირის რაიკომი.

12. სადგურის სათავეში დგას დირექტორი, რომელსაც ნიშნავს საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატი, ხოლო დანარჩენ მუშაკთ, გარდა ბუხჰალტერიისა, ნიშნავს რაიონის განათლების განყოფილება.

13. სადგური თავის მუშაობას ატარებს წლიური გეგმისა და ტექნიკური წრეებისათვის შედგენილ პროგრამების მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატი.

## IV. ბავშვთა სარაიონო ტექნიკური სადგურის სახსარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. სარაიონო სადგურის სახსარი შესდგება:

ა) იმ სახსრისაგან, რომელიც ასიგნებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტით;

ბ) სახსრისაგან, რომელიც ასიგნებული იქნება სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციების მიერ ბავშვთა შორის მუშაობისათვის ტექნიკის დაუფლების დარგში.

15. კრედიტების განმკარგულებელია სადგურის დირექტორი, რომელიც ხსნის სახ. ბანკის ადგილობრივ განყოფილების სათანადო ანგარიშებს.

16. სადგურის მუშაობის შესახებ დირექტორი ადგენს საქ. სსრ განათლების სახ. კომისარიატში კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს.

17. სარაიონო სადგურს უფლება აქვს დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში დადვას სადგურის მუშაობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ხელშეკრულება და შრომის შეთანხმებანი.

18. სარაიონო სადგურს აქვს შტამპი და მრგვალი ბეჭედი თავისი სახელწოდების წარწერით.

19. სარაიონო სადგური შეიძლება იქნეს ლიკვიდირებული ან რეორგანიზებული მხოლოდ საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებით.

# აჭარის და აფხაზეთის ასსრ და სამხრეთოსეთის ავტ. ოლქის განსახკომებს, განათლების ყველა საქალაქო და სარაიონო განყოფილებას და განსახკომის სისტემაში შემავალ ყველა სკოლის დირექტორებს (გამგეებს)

## სტალინური კონსტიტუციის 3 წლისთავის დღესასწაულის ჩატარებისა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების სამზადისში მონაწილეობის მიღების შესახებ.

ახლოვდება ორი უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დღე. მიმდინარე წლის 5 დეკემბერს სრულდება 3 წელი სსრ კავშირის სტალინური კონსტიტუციის მიღების დღიდან. ჩვენი ქვეყნის ბედნიერმა ხალხებმა ერთსულოვნად მოიწონეს სრულიად საკავშირო საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობის დადგენილება კონსტიტუციის მიღების დღის — 5 დეკემბრის — საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად გამოცხადების შესახებ.

სსრ კავშირის თავისუფალი და ბედნიერი ხალხები მიმდინარე წელს მესამედ ზეიმობენ სტალინური კონსტიტუციის მიღების დიად თარიღს; ამ დღეს ჩვენი ქვეყნის მშრომელები კმაყოფილებით გადაჰხედავენ თავისუფლების სტალინური ქარტიის მოსაპოვებლად ჩატარებულ თავდადებულ ბრძოლისა და შრომის გზას და ბოლშევიკების პარტიისა და მშობლიური სტალინის ირგვლივ შემჭიდროებულნი უფრო მეტი ენერგიით დაირაზმებიან კომუნიზმის მშენებლობის ყველა ფრონტზე შემდგომი მიღწევებისათვის.

საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, მიმდინარე წლის 24 დეკემბერს დანიშნულია საქ. სსრ ადგილობრივი საბჭოების არჩევნები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. საარჩევნო კამპანიაში, რომელიც დაიწყო 24 ოქტომბერს და გაგრძელდება არჩევნების დღემდე, 24 დეკემბრამდე, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მასწავლებლებმა და უფროსი კლასის მოსწავლეებმა. საარჩევნო კამპანიის პერიოდში სკოლამ აქტიური დახმარება უნდა გაუწიოს საარჩევნო კომისიებს, სკოლა უნდა გახდეს საარჩევნო აგიტაციის ერთერთი აქტიური მონაწილე.

უდიდესი წარმატებანი, რომლებიც მოპოებულია ჩვენი დიადი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში: სოციალიზმის ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვება საერთაშორისო ურთიერთობაში, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის შემდგომი განმტკიცება, თავდაუსხმელობისა და მეგობრობის ხელშეკრულების დადება გერმანიასთან, ურთიერთი დახმარებისა და მეგობრობის ხელშეკრულებების დადება ესტონეთთან, ლატვიასთან და ლიტვასთან, ძლევამოსილი წითელი არმიის მიერ დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელთა განთავისუფლება პოლონელ პანების უღლისაგან, სსრკ უმაღლესი საბჭოს მეხუთე, რიგგარეშე სესიის დადგენილება დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მიღების შესახებ, — ყველაფერი ეს წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის ტრიუმფალურ წინსვლასა და გამარჯვებას.

საბჭოების ქვეყნის ყველა მშრომელებთან ერთად, ჩვენი ქვეყნის ბედნიერმა მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა ღირსეულად უნდა აღნიშნონ და მიიღონ მონაწილეობა ამ ორი ისტორიული თარიღის წარმატებით ჩატარებაში, რისთვისაც საქ. სსრ განსახკომი წინადადებას იძლევა გაატაროთ შემდეგი ღონისძიებანი:

1. **კონსტიტუციის** დღისათვის მზადება უნდა წარიმართოს სკოლებში სტალინური კონსტიტუციის სწავლების გადაჭრით გაუმ-

ჯობესების ნიშნის ქვეშ. მოეწყოს და შეივსოს სკოლებთან არსებული კონსტიტუციის ოთახები, მხატვრულად დაიწეროს და თვალსაჩინო ადგილებზე გაკრულ იქნას კონსტიტუციით მოცემული სსკ-ის მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი: შრომის უფლება, განათლების უფლება, დასვენების უფლება, მოხუცებულობის დროს მატერიალური უზრუნველყოფის უფლება; საპატიო მოვალეობა სამშობლოს დაცვისა, წითელ არმიაში სამსახურისა და სხვათა შესახებ.

2. 5 დეკემბერს მოეწყოს სსრკ-ის კონსტიტუციის მიღებიდან 3 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოები პროგრამით: ა) მოხსენება სსრკ კონსტიტუციის შესახებ, ბ) ლექსები, დეკლამაცია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ბედნიერი ცხოვრების შესახებ, იმ სიყვარულის შესახებ, რომლითაც საბჭოთა კავშირის ხალხები უმღერიან ახალი კონსტიტუციის შემომქმედს — **დიდ სტალინს**; გ) მომღერალთა გუნდისა და ორკესტრის გამოსვლა, ფრიადი წარმატების მქონე მოსწავლეთა დაჯილდოვება და სხვა.

3. გამოცემულ იქნას სასკოლო კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები, მიძღვნილი კონსტიტუციის მიღებიდან სამი წლისთავისადმი.

4. მოეწყოს მოსწავლეთა მიერ მოსმენა პატეფონის ფირფიტებზე გადაღებულ **ამხანაგ სტალინის** სიტყვისა, ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ და ამავე მოხსენების მოსმენა კინო-თეატრებში.

5. შესაძლებლობის ფარგლებში დასვენების დღეს მოეწყოს ექსკურსია ქ. გორში **ამხანაგ სტალინის** სახლის დასათვალიერებლად.

6. კონსტიტუციის დღის ჩატარება მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს მოსწავლეთა მარქსისტულ-ლენინური აღზრდის ამოცანებს, მასწავლებელთა მიერ ბოლშევიზმის დაუფლების — საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლის ამოცანას.

7. ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღესთან დაკავშირებით ფართოდ გაიშალოს სკოლებში მასწავლებელთა და უფროსი კლასის მოსწავლეთა შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობა; მოეწყოს საარჩევნო დებულების კოლექტიური და ინდივიდუალური შესწავლა. გამოიყოს აგიტატორი მასწავლებლები, რომლებიც სკოლის მთელ კოლექტივთან ერთად გაშლიან აგიტაციას ხალხის მიერ წამოყენებული კანდიდატების გასაცნობად, განუმარტავენ მოსახლეობას საარჩევნო კანონს, დაეხმარებიან ადგილობრივ ორგანოებს ამომრჩეველთა სიის შედგენაში და სხვა საქმეში.

8. მეშვიდე კლასში კონსტიტუციის სამი-ოთხი გაკვეთილი დაეთმოს საუბარს — არჩევნების დებულების კონკრეტულ საკითხებზე.

9. ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების საქმეში უკეთესი წარმატებების მოპოვების უზრუნველსაყოფად გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება მოსწავლეებსა, მასწავლებლებსა და სკოლებს შორის. მასწავლებლებისა და სკოლის სხვა მუშაკთა მუშაობა ამ საქმეში, სისტემატურად გაშუქდეს ადგილობრივ პრესაში და გაზეთ „საბჭოთა მასწავლებელში“.

**საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი**
**გ. კიკნაძე**

**საშუალო სკოლის სამმართველოს**
**უფროსის მაგ. უშ. ოზოლაძე**


პ/მგ. რედაქტორი **გ. კიკნაძე** — პ/მგ. მდივანი **ს. ცაიშვილი**

გადაეცა წარმოებას 8/XI–39 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/XI–39წ.
ფორმატი 8×12

ტირაჟი 5000. ქაღალდის ზომა – 70×108
მთავლიტის რწმუნებული № რ–430
შეკვეთის № 3401.

სტამბა „ზარია ვოსტოკა“ რუსთაველის პრ., № 36.